ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 10

4.09.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია **3** ძირითადი საკითხი:

1. 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი;
2. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილებების შეტანა
3. ფსიქოლოგიის საბაკალავრო და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში ცვლილებების შეტანა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე, ნანა სუმბაძე, მზია წერეთელი

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ლუიზა არუთინოვი, ანი ქიტიაშვილი, ირინა ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი

ასისტენტ პროფესორები:

ლია ჩხიკვიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე

სტუდენტები:

ანა გელაშვილი

ნათია კაპანაძე

პაატა ჯოლბორდი

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 22 წევრი

განიხილეს:

1. 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი;

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილია 2017 წლის კურსდამთავრებული იმ ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის წარდგინება, რომელსაც გვიან დაუფიქსირდა შეფასებები, შესაბამისად, წარდგინების მოთხოვნაც გვიან შემოვიდა.

საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა ფსიქოლოგიის დარგის საბაკალავრო საფეხურის 3 კურსდამთავრებულის სია:

მიენიჭოთ **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში** და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

<u>სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია</u>

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ჭაჭაშვილი თორნიკე

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 22

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

2. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილებების შეტანა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე მოქმედ სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამისთვის გათვალისწინებული სტუდენტთა მისაღები კვოტირებული ადგილების რაოდენობაში არის ცვლილებები, შესაბამისად, ადგილების საბოლოო გადანაწილება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

განათლების ფსიქოლოგია და კვლევა - 15
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია - 15
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - 15
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - 5
იურიდიული ფსიქოლოგია - 15
ბავშვთა და მოზარდთა ფსიქ. შეფასება და კონსულტირება - 15
განათლების მეცნიერებები - 50
მასწავლებელთა განათლება - 30

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 22

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა:0

3. ფსიქოლოგიის საბაკალავრო და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში ცვლილებების შეტანა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე მოქმედ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სილაბუსში შევიდა ცვლილება, კერძოდ, დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები.
ასევე, ცვლილება შეეხო კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, კერძოდ, SPSS-ის სალექციო კურსს ნაცვლად ვანო კეჭაყმაძისა წაიკითხავს გიორგი ლომიძე, რომელმაც წარმოადგინა კიდეც თავისი სალექციო კურსის სილაბუსი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად
მომხრე: 22
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

4. სამეცნიერო დარგში დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ 25 სექტემბერს იმართება ფაკულტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანი რეგიონული კონფერენცია, საკონფერენციოდ აბსტრაქტების მიღება უკვე დასრულებულია და შემდეგ ეტაპზე გადაეცემა სპეციალურად დამტკიცებულ კომისიას შესაფასებლად.
ასევე, პროფესორმა სურმანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი თსუ-ფსიქოლოგია, რომელში დასაბეჭდადაც სტატიების გადაგზავნის ბოლო ვადაა 1 დეკემბერი. აქვე მომხსენებელმა გამოთქვა მზაობა, განათლების მეცნიერებების დეპარტამენტთან თანამშრომლობისა, რათა სამომავლოდ მომზადდეს ელექტრონული ჟურნალი თსუ-განათლების მეცნიერებები.

საბჭომ მოისმინა პროფესორ ლალი სურმანიძის მოხსენება და მიიღო ცნობად.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2017 წლის კურსდამთავრებული ბაკალავრის, ჭაჭაშვილი თორნიკეს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ წარდგინება;

2. დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში შესული ცვლილებები წარმოდგენილი ფორმით;

3. დამტკიცდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო და კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილ სილაბუსებში შესული ცვლილებები

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე